საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 98 05 21

Mail:expert_development@gmail.com

15/01/2026 წელი

საექსპერტო დასკვნა დარღვევით წარმოებულ სამუშაობზე

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა №98 საკადასტრო კოდით №01.72.14.300.001 შპს “კოლოსი დიღომი”-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე შვიდ სართულიანი (ერთი მიწისქვეშა სართულით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (“ა” ბლოკი) მშენებლობის პერიოდში დარღვევით ნაწარმოები სამუშაოების საექსპერტო დასკვნა

შინაარსი

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა №98 საკ. კოდით №01.72.14.300.001 შპს "კოლოსი დიღომი"-ს წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე ორი ბლოკისაგან შემდგარი შვიდ სართულიან (ერთი მიწისქვეშა სართულით) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე ("ა" ბლოკი) დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შესაფასებლად და კონსტრუქციული მდგომარეობის კვლევა მდგრადობასა და საიმედოობაზე.

კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად შესწავლილ იქნა არსებული შენობის ყველა ძირითად მახასიათებლები და საპროექტო კორექტირებული დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი სამუშაოები.

საძირკველი – მონოლითური რკინა-ბეტონის გაძლიერებული ფილა - კვეთით 650 მმ;

კარკასი – რკინა-ბეტონის კოლონები და რიგელები, ასევე სიხისტის დიაფრაგმები;

სართულშუა გადახურვები – მონოლითური ორმაგად არმირებული ფილები

ამაწლის 11 იანვარს ჩვენი ჯგუფის მიერ განხორციელდა ადგილზე შესწავლა-დათვალიერება შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე, რის საფუძველზეც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებსა და წესებს, თუმცა აღმოჩენილ იქნა გარკვეული სახის დარღვევები კერძოდ:

დადგენილება 003093: დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-7 ეტაპით "ძირითადი კარკასის მონტაჟი +22.30 საპროექტო ნიშნულამდე" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ:

ნაწილობრივ შეცვლილია აივნების და "3-4" მონაკვეთში მდებარე კიბის უჯრედში ბაქნების გაბარიტები. წამოდგენილი მდგომარეობა კონსტრუქციული კუთხით უმნიშვნელოა და მდგრადობის პირობა არ არის დარღვეული.

შეცვლილია ლიფტის ჩახტის და მისი შემომფარგვლელი მონოლითური კედლების გაბარიტი. შესწავლის შედეგად გაბარიტის ცვლილების

შედეგად არ არის დარღვეული კონსტრუქციული სქემა და აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია კორექტირებული კონსტრუქციული პროექტის გათვალისწინებით, რის საფუძველზეც მდგრადობის პირობა დამაკმაყოფილებელია.

-2.90 ნიშნული: კოლონებისა და რიგელების შეერთების ადგილებში ფიქსირდება ლითონის მოჩარჩოება. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია კონსტრუქციული გაანგარიშების და კორექტირებული პროექტის ფარგლებში, შესაბამისად გაძლიერების შედეგად მდგრადობის პირობა დამაკმაყოფილებელია.

+0.00 ნიშნული: "დ" ღერძის გარეთ "8-10" მონაკვეთში შეცვლილია ფილის კონტური და გაბარიტი. ჩატარებული შემოწმების საფუძველზე აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია კონსტრუქციული ნორმების ფარგლებში და მდგრადობის პირობას საფრთხე არ ემუქრება.

ამავე მონაკვეთში შეცვლილია კიბის მდებარეობა და საფეხურების რაოდენობა. მდებარეობის და საფეხურების რაოდნეობის ცვლილების შედეგად არ არის დარღვეული კონსტრუქციული სქემა და სამუშაოები შესრულებულია კორექტირებული კონსტრუქციული პროექტის ფარგლებში.

„ა" ღერძის გარეთ „3-5" მონაკვეთში და „დ" ღერძის გარეთ „8-10" მონაკვეთში შეცვლილია ფილის კონტური და გაბარიტი. წარმოდგენილი მდგომარეობაც კონსტრუქციული კუთხით გაანგარიშებულია და არ იქნა გამოვლენილი არასათანადო კონსტრუქციული გარემო-ფაქტორები.

„3-4" მონაკვეთში „დ" ღერძის გარეთ გაუქმებულია საფეხურების მოწყობა, რაც კონსტრუქციული თვალსაზრისით არ ახდენს არავითარ სახის გავლენას მდგრადობაზე.

დადგენილება 003094: დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-8 ეტაპით "შენობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა; არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; შენობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ:

ნაწილობრივ შეცვლილია კარების გაღების მიმართულებები და მონაცვლებულია ბინებში შესასვლელი კარების მდებარეობები.

მოცემული მდგომარეობა კონსტრუქციული კუთხით არ განიხლება და არ ახდენს გავლენას მდგრადობსა და საიმედოობაზე.

მცირედით მონაცვლებულია „დ“ ღერძზე და მის გარეთ „5-10“ მონაკვეთში შენობის გარე პერიმეტრზე არსებული კედლების მდებარეობა. წარმოდგენილი მდგომარეობა სრულიად უმნიშვნელოა და არ იქნოებს არავითარ სახის გავლენას მზიდუნარიან საყრდენ ელემენტებზე.

„8-9“ და „ბ-დ“ მონაკვეთში მონაცვლებულია ტიხრების მდებარეობა, შეცვლილია კარების რაოდენობა და ბინების ფართები. ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოდგენილი ცვლილებები არ განიხლება და არ არის კავშირში მზიდუნარიან ელემენტებთან მიმართებაში.

„დ“ ღერძის გარეთ „8-9“ მონაკვეთში აივნებზე კედლების ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. აღნიშნული მდგომარეობაც კონსტრუქციული თვალსზრისით უმნიშვნელოა და არ არის დარღვეული მდგრადობის პირობა.

+13.20 ნიშნულზე „5-8“ და „ბ-ე“ მონაკვეთში გაერთიანებულია ორი ბინა. ინების გაერთიანების შედეგად არ არის დაღვეულია საყრდენი ელემენტები და მდგრადობის პირობას საფრთხე არ ემუქრება.

-2.90 ნიშნული: შეცვლილია ტიხრების რაოდენობა და მონაცვლებულია მათი მდებარეობა, ასევე მონაცვლებულია „2-4“ და „ა-გ“ მონაკვეთში მდებარე ღიობების, მათ შორის კიბის უჯრედში შესასვლელი კარის მდებარეობა. ჩატარებული შესწავლის საფუძველზე არ იქნა გამოვლენილია კონსტრუქციული ელემენტების ცვლილება და არ არის დარღვეული მდგრადობის და საიმედოობის პირობა.

„13“ ღერძზე ორკი კარის ნაცვლად მოწყობილია ერთი კარი და შეცვლილია მისი გაბარიტი. წარმოდგენილი ცვლილება კონსტრუქციული კუთხით არ განიხლება და სრულიად უმნიშვნელოა.

არ არის დასრულებული ღიობებში კარების მოწყობა. ამჟამინდელი მდგომარეობის შედეგად სამუშაოები შესრულებულია და მოცემული მდგომარეობაც არ ახდენს არავითარ სახის გავლენას მდგრადობაზე.

+0.00 ნიშნული: „3-4“ და „ბ-დ“ მონაკვეთში შემცირებულია დერეფნის სიგანე და გაზრდილია ბინის ფართი. შესწავლის შედეგად არამზიდი შემავსებელი კონსტრუქციების ცვლილება არ ახდენს არავითარ სახის გავლენას მდგრადობასა და საიმედოობაზე.

გაუქმებულია „ბ-გ“ მონაკვეთში კედლისა და კარის მოწყობა, ხოლო „დ“ ღერძის გარეთ „3-4“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სადარბაზოში შესასვლელი კარი და ფილა. აღნიშნული მდგომარეობის შესწავლის შედეგად არ იქნა გამოვლენილია არასათანადო კონსტრუქციული გარემო-ფაქტორები და მოცემული სამუშაოები შესრულებულია ნორმების ფარგლებში.

„დ“ ღერძის გარეთ „8-10“ მონაკვეთში დამატებულია და მონაცვლებულია კედლების რაოდენობა და მდებარეობა. წარმოდგენილი მდგომარეობა მისაღები და დამაკმაყოფილებელია, შესაბამისად არ არის დარღვეული მდგრადობის და საიმედოობის პირობა.

„ა“ ღერძზე გაუქმებულია სადარბაზოში შესასვლელი კარი და მის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი, რაც კონსტრუქციული კუთხიდ არ განიხლება და არ ახდენს არავითარ სახის გავლენას მზიდუნარიან ელემენტებზე.

+23.10 ნიშნული: შეცვლილია კიბის უჯრედის და ლიფტის სამანქანოების გაბარიტები და სიმაღლე, ასევე კოლონების გაბარიტები. აღნიშნულ ნიშნულზე წარმოდგენილი ცვლილებები განხორციელებულია კონსტრუქციული სქემის და ნორმების შესაბამისად, აქედნ გამომდინარე მდგრადობისა და საიმედოობის პირობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

დამატებით მოწყობილია სამანქანოებში შესასვლელი კარები და ცხაურები. ჩატარებული კვლევის შედეგად მდგრადობის პირობა დამაკმაყოფილებელია და არ იქნა გამოვლენილი რღვევის ნიშნების კვალი.

გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე. პარაპეტის სიმაღლის ცვლილებით არ არის დარღვეული კონსტრუქციული მდგომარეობა და გამორიცხულია უარყოფითი შედეგების წარმოქმნის შესაძლებლობა.

დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტები და ტექნიკური დანადგარები. ჩატარებული შესწავლის საფუძველზე სამუშაოები შესრულებულია ჯეროვნად და მდგრადობის პირობას საფრთხე არ ემუქრება.

აღნიშნული ცვლილებები გაანგარიშებულია და წარმოდგენილი კორექტირებულ კონსტრუქციულ პროექტში, გარდა იმ სამუშაოებისა, რომელიც არ არის კავშირში მზიდუნარიან საყრდენ ელემენტებთან, აქედან გამომდინარე განხორციელებულ სამუშაოებს ცალსახად ენიჭება დადებითი შეფასება.

დადგენილება 003095: დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-10 ეტაპით "ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი; მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა; სამშენებლო ნარჩენების გატანა" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ:

ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთლმოწყობა და გრუნტის ზედაპირის ნიშნულები. აღნიშნული მდგომარეობა კონსტრუქციული თვალსაზრისით უმნიშვნელოა და არ ახდენს არავითარ სახის გავლენას შენობის მდგრადობაზე.

შემცირებულია ლიფტის კაბინების და კარების გაბარიტები. მოცემული ცვლილების შედეგად არ არის დარღვეული კონსტრუქციული საანგარიშო სქემა და მდგრადობისა და საიმედოობის პირობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ობიექტზე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტო ნახაზებში ასახულს. წარმოდგენილი მდგომარეობა კონსტრუქციული კუთხით არ აგნიხლება და მდგრადობის პირობა რჩება უცვლელი.

გასატანია სამშენებლო ნარჩენები. კონსტრუქციული თვალსაზრისით არ განიხილება.

-2.90 ნიშნულზე „4-5" და „ა-გ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლიფტი. აღნიშნულ შემთხვევაში სამუშაოები განხორციელებულია სამშენებლო ნორმების ფარგლებში და კონსტრუქციული მოთხოვნის შესაბამისად, რის საფუძველზეც მდგრადობის პირობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

დადგენილება 003096: დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-9 ეტაპით "გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ:

შეცვლილია ფასადების ღებვის ფერი და მოპირკეთების მასალები, ასევე ვიტრაჟების ნახატი. ჩატარებული კვლევის შედეგად მოცემული

ცვლილბები არ ახდენს არავითარ სახის გავლენას მდგრადობასა და საიმედოობაზე.

ფასადებზე ფიქსირდება დამატებით მოწყობილი კონდიციონერები. ჩატარებული შემოწმების საფუძველზე კონდიციონერების მოწყობის შედეგად გამორიცხულია დამაზიანებელი შედეგების წარმქომნის პირობა და კონსტრუქციული თვალსზრისით არ განიხილება.

„ა-ე" ფასადზე "ბ-გ" მონაკვეთში ფიქსირდება დამატებით მოწყობილი სავენტილაციო მილი. აღნიშნული მდგომარეობა სრულიად უმნიშვნელოა და არ არის დარღვეული მდგრადობის პირობა.

"13-1" ფასადზე +0.00 ნიშნულზე "4-2" მონაკვეთის მოწყობა არ შეესაბამება საპროექტო ნახაზებში ასახულს. შესწავლის შედეგად არ იქნა გამოვლენილი არასათანადო კონსტრუქციული გარემო-ფაქტორები, რის შედეგად მდგრადობის პირობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ზემოთ მოცემული ცვლილებები გაანგარიშებულია და შეტანილია კორექტირებულ კონსტრუქციულ პროექტში, რაც სრულად არის განხილული ზემოთ ხსენებულ განხორციელებულ სამუშაოებში, გარდა არამზიდი კონსტრუქციული ელემენტებისა, რაცა რ არის კავშირში კონსტრუქციულ პროექტთან. წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად არ დარღვეულა შენობის მზიდუნარიანობა და საანგარიშო სქემა. აღნიშნული ცვლილებების შედეგად შენობის მიმართ გამოირიცხულია უარყოფითი ზეგავლენის წარმოქმნის საფრთხე, ვინაიდან წარმოდგენილი კორექტირებული სამუშაოები განხორციელებულია კორექტირებული კონსტრუქციული პროექტის და ნორმების დაცვის ფარგლებში.

ზემოთ ხსენებული განხორციელებული ცვლილებებით (**დადგენილების №003093, №003094, №003095 და №003096-ის გათვალისწინებით**) მდგრადობის პირობა არ დარღვეულა და მზიდ კონსტრუქციებთან მიმართებაში საყრდენი ელემენტების მდგომარეობა მდგრადობასა და საიმედოობაზე დამაკმაყოფილებელია. აღნიშნულ დადგენილებებში წარმოდგენილი ცვლილებები, რომელიც უშუალოდ კავშირშია კონსტრუქციულ საყრდენ ელემენტებთან, ასახულია კორექტირებულ კონსტრუქციულ პროექტში და ჩატარებული კვლევის ფარგლებში სამუშაოები შესრულებულია ჯეროვნად, შესაბამისად მდგრადობისა და საიმედოობის პირობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

დასკვნითი ნაწილი: ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა №98 საკადასტრო კოდით №01.72.14.300.001 შპს "კოლოსი დიღომი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შვიდ სართულიანი (ერთი მიწისქვეშა სართულით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ("ა" ბლოკი) მშენებლობის პროცესში, მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოცემული დადგენილების **№003093, №003094, №003095 და №003096-ის თანახმად**, ზემოთ ხსენებულ ობიექტზე აღმოჩენილი დარღვევები აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე წარმოდგენილი სამუშაოები გაანგარიშებულია და ასახული კორექტირებულ კონსტრუქციულ პროექტში, აქედან გამომდინარე შენობის მდგრადობისა და საიმედოობის პირობა სასვებით დამაკმაყოფილებელია.

კონსტრუქტორ-ექსპერტი: **ა. ყურაშვილი**

Aleksandre Kurashvili 01024034907
Digitally signed by Aleksandre Kurashvili
Date: 2026.01.15 22:52:24

შპს ექსპერტ დეველოპმენტი
EX ERT DEVELOPMENT
402030495
EXPERT DEVELOPMENT LTD

სამუშაო გამოცდილება

გვარი, სახელი, მამის სახელი: - ყურაშვილი ალექსანდრე

მისამართი: - ქ.თბილისი, იპ. ხვიჩიას ქუჩა №16, ბინა 11

ტელეფონი: - ტელ: 2 37 55 77
მობ: 5 99 05 70 94
პ/ნ 01024034907

განათლება: - 2002 წელს ჩავაბარე და 2008 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (მაგისტრი)

- მშნებელ-ინჟინერის სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება 2006 წლიდან დღემდე.

-შპს "ვალენტია ინდუსტრია" 2005-2006წწ.

-"სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური" თანამდებობა: ქონების განვითარების სამსახურის სპეციალისტი 2006-2009 წწ. (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის მშენებლობაზე)

- 2009 წლიდან 2011 წლამდე ვმუშაობდი საპროექტო ორგანიზაცია შპს "დიტრიხ"-ში კონსტრუქტორის პოზიციაზე მის: ქ.თბილისის, ბახტრიონის ქუჩა №28

- 2011 წლიდან შპს "ლილეო"– ს დირექტორი თანამდებობა: ინჟინერ-კონსტრუქტორი
- 2018 წლიდან დღემდე შპს "ექსპერტ დეველოპმენტი"-ს დირექტორი, თანამდებობა : ინჟინერ-ექსპერტი

ენების ცოდნა: - ქართული– მშობლიური
- რუსული-კარგად
- ინგლისური-კარგად

სხვა მონაცემები:

კომპიუტერული პროგრამები:
OS: Auto cad; ArchiCAD; Windows XP; Microsoft Office; Internet Explorer; საინჟინრო-გამოთვლითი პროგრამა Lira

2009 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, შესწავლილი მაქვს 200 ერთეულამდე ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ნახაზები, საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაპროექტებული მაქვს 600-ზე მეტი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 კლასის შენობების კონსტრუქციული პროექტი. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შესრულებული მაქვს 4000 მეტ ობიექტზე საექსპერტო დასკვნები, სადემონტაჟო-სამშენებლო ობიექტების ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობების ექსპერტიზა, სარეკონსტრუქციო ნაგებობების ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების საექსპერტო შეფასების შესახებ. ჩემს მიერ, თბილისში მომზადებულია რამოდენიმე ათეული მეოთხე კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური კომპლექსების, საწარმო ტიპის ნაგებობების პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.

საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 98 05 21/ 558 37 80 90

Mail:expert_development@gmail.com

კონსტრუქტორ ექსპერტი: ალექსანდრე ყურაშვილი

სამუშაო გამოცდილება: 2006 – 2009 წელი (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის მშენებლობა) კონსტრუქტორ-ექსპერტი, სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპები და შარულ სამუშაოთა აქტების მომზადება

2011 – 2018 წელი: შპს "ლილეო" საქმიანობა: შენობა-ნაგებობებზე მდგრადობისა და საიმედოობის კვლევა, მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედების კვლევა, პროექტის ექსპერტიზა, გამაგრება-რეაბილიტაციის პროექტის მომზადება, ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კონსტრუქციული გებმარება

2018 – 2026 წელი: შპს "ექსპერტ დეველოპმენტი": კონსტრუქტორ-ექსპერტი სამოქალაქო მშენებლობის დარბაში, შენობა ნაგებობების მდგომარეობის საექსპერტო კვლევა, მომიჯნავე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის და მასზე მშენებლობით გამოწვეული ზეგავლენის კვლევა,

კონსტრუქციული პროექტის ექსპერტიზა, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ექსპერტიზა

აღნიშნული პიროვნება მუშაობს შპს "ექსპერტ დეველოპმენტი"-ში 2018 წლიდან დღემდე კონსტრუქტორი-ექსპერტის თანამდებობაზე, რომლის სამუშაო გამოცდილება შეადგენს 19 წელს.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი: ა. ყურაშვილი

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



ბარათის No / CARD No

19IA43611

სახელი / FIRST NAME

ალექსანდრე

ALEKSANDRE

გვარი / LAST NAME

ყურაშვილი

KURASHVILI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მმ / M	01024034907

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
21.02.1985	15.10.2029

ხელმოწერა
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

თბილისი

TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

15.10.2019

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2019

სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE019IA4361130102403490 7<<<<

8502212M2910150GEO<<<<<<<<<<<8

KURASHVILI<<ALEKSANDRE<<<<<<<<<



დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
შემსრულებელი: საგამომცემლო პოლიგრაფიული სახლი კაბადონი
ს.ფ.ს. რეგისტრაციის № 7 - 0158

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY



ბაკალავრის დიპლომი

BACHELOR'S DIPLOMA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000839

This is to certify that Mr./Ms. Alexander
Name, Surname
Kurashvili

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006

completed the requirements of Faculty of

Civil Engineering

Bachelor's Degree of the University

with major in Industrial and Civil Engineering

By the decision of the State Qualification Commission, September
Month, Day, Year
18, 2006, Mr. Alexander Kurashvili
Name, Surname

was awarded the Academic Degree of

Bachelor of Civil Engineering

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # 06535

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000839

ეძლევა ალექსანდრე ყურაშვილს

მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006

წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო

ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობის

სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2006 18. 9
(წელი, რიცხვი, თვე)
გადაწყვეტილებით

ალექსანდრე ყურაშვილს მიენიჭა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მშენებლის

კვალიფიკაცია

რექტორი

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 06535



მაგისტრის
დიპლომი

MASTER'S
DIPLOMA

დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დამამზადებელი: შპს „ფორმა“
სფს რეგისტრაციის № 04-1599

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

MASTER'S

DIPLOMA

MA № 000505

This is to certify that by the decision June 26, 2008.

of the Civil Engineering faculty

of the **Technical University of Georgia**

Mr. Alexander Kurashvili

born on February 21, 1985.

was awarded an academic Degree of Master with a Major in

Civil Engineering

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi September 18, 2008. Registration No 00504

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MA № 000505

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საინჟინრო

ფაკულტეტის 2008 წლის 26. 6 გადაწყვეტილებით,

ალექსანდრე ყურაშვილს

დაბადებულს 1985 წლის 21 თებერვალს

მიენიჭა მშენებლობის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 18/09/2008 სარეგისტრაციო # 00504

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ექვს დეკემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. N6, მომმართა: **ალექსანდრე ყურაშვილმა**, რომელმაც წარმოადგინა მის მიერ შედგენილი **სამუშაო გამოცდილების** ერთი ეგზემპლარი და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ალექსანდრე ყურაშვილმა** (დაბად.21.02.1985წ. პ/ნ 01024034907, პ/მ დ1428509) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მან განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია **სამუშაო გამოცდილების** შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი **სამუშაო გამოცდილებას**, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს.

ნოტარიუსმა მას განუმარტა, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ **სამუშაო გამოცდილებაზე** მისი ხელმოწერის ნამდვილობას და არა **სამუშაო გამოცდილებაში** მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს და ნამდვილობას. მე მას აგრეთვე განუმარტე, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

დამოწმებულია ერთი ხელმოწერის ნამდვილობა **სამუშაო გამოცდილების** ერთ ეგზემპლარზე და შესაბამისად გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 0.36 ლარი, ჯამში: 4.36 ლარი.

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171419327
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.12.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
სრულიად	თეა მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	0322931887
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31278100086917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18